ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-05

2011 წლის 28 იანვარი
ქ. ქობულეთი

შ.პ.ს. „ვიტელ-ჯორჯია“-სათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ შ.პ.ს. „ვიტელ-ჯორჯია“-ს მიერ იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკაბელო ინტერნეტ სისტემის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მაღალხარისხიანი ინტერნეტით მომსახურებას.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №-57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ” მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შ.პ.ს. „ვიტელ-ჯორჯია“-ს ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №-285-ის მიმდებარე ტერიტორიაზე აწარმოოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მიყვანა სასტუმრო „კოლხეთამდე”.

2. გაფრთხილდეს შ.პ.ს. „ვიტელ- ჯორჯია“ მასზედ, რომ სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილი განაშენიანების სამუშაოების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ძალებით უზრუნველყოს საკაბელო ტრასის ადგილმონაცვლეობა.

3. შ.პ.ს. „ვიტელ-ჯორჯიამ“ უზრუნველყოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მიყვანისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან. (შ.პ.ს. „ფოპნეტი“, შ.პ.ს. „სილქნეტი“-ს აჭარის ფილიალი და ს.ს. „ენერგო-პროჯორჯია“, შ.პ.ს. „ქობულეთის წყალკანალი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილი გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტემენტი).

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი);

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ.ბერაძე**